

შეტყობინება მეთორმეტე

განვიცადოთ ახალი აღთქმის შინაარსი
და დავტკბეთ მისით ჩვენი სულიერი განცდის თანახმად
ღმერთის სახლმშენებლობის განსახორციელებლად

ადგილები წერილიდან: იერ. 31:31-34; ებრ. 8:8-12; რომ. 8:2, 28-29; 12:1-2

- I. იმის საფუძველზე, რასაც წინასწარმეტყველებს იერემია ახალ აღთქმაზე, იერემია წინასწარმეტყველის წიგნი შეიძლება ჩაითვალოს ძველ აღთქმისეულ წიგნად, რომელიც ასევე არის ახალი აღთქმისეული წიგნი; ჩვენ უნდა დავინახოთ და გავითავისოთ ახალი აღთქმის შინაარსი, ანუ ის, რაც გვიანდერძა ღმერთმა – იერ. 31:31-34; ებრ. 8:8-12:
- ა. ახალ ანდერძში დაპირებულია ოთხი კუროთხევა:
 - 1. შეწყალება ჩვენი უსამართლობებისათვის და დავიწყება (პატიება) ჩვენი ცოდვების – მუხ. 12.
 - 2. სიცოცხლის კანონის ჩანერგვა ღვთაებრივი სიცოცხლის ჩანერგვის მეშვეობით ჩვენში – მუხ. 10ა.
 - 3. პრივილეგია, რომ გვყავდეს ღმერთი როგორც ჩვენი ღმერთი და ვიყოთ მისი ხალხი – მუხ. 10ბ.
 - 4. სიცოცხლის ფუნქცია, რომელიც ნებას გვაძლევს ჩვენ, რომ ვიცოდეთ ის სიცოცხლის შინაგანი გზის მეშვეობით – მუხ. 11.
 - ბ. ვინაიდან პატიება ცოდვების არის მხოლოდ ღმერთის ჩანაფიქრის მიღწევის საშუალება, წერილის ამ ნაწილში ცოდვების პატიება ნახსენებია ბოლოს; მაგრამ, ჩვენი სულიერი განცდის თანახმად, ჩვენ თავიდან ვღებულობთ გაწმენდას, რომელიც ხდება პატიების შედეგად; შემდეგ ჩვენ ვტკბებით ღმერთით როგორც სიცოცხლის კანონით, ვხდებით ღმერთის ხალხი სიცოცხლის კანონში, და გაგვაჩნია ღრმა ცოდნა ღმერთისა შინაგანად – შდრ. მუხ. 12.
- II. „შევიწყალე მათ უსამართლობას და აღარ გავიხსენებ მათ ცოდვებს – მუხ. 12; იერ. 31:34ბ:
- ა. ქრისტემ აღასრულა შეწყალება ჩვენი ცოდვების გამო, რათა დაემშვიდებინა ღმერთის სამართლიანობა, შევერიგებინეთ ჩვენ ღმერთის სამართლიანობის მოთხოვნების დაკმაყოფილებით – ებრ. 2:17.
 - ბ. ქრისტეს ძვირფასი და ყველანაირად ქმედითი სისხლი აგვარებს ჩვენს ყველა პრობლემას, რათა ჩვენ შევძლოთ, გამუდმებით დავრჩეთ ღმერთთან ურთიერთობაში, რათა განუწყვეტლივ დავტკბეთ მისი ორგანული გადარჩენით – 1 იოანე 1:7-9; 2:1-2:
 - 1. ღმერთის წინაშე უფლის გამომსყიდველმა სისხლმა ჩვენ მარადიულად გაგვწმინდა ერთხელ და სამუდამოდ და ქმედითობა ამ გაწმენდისა არ საჭიროებს გამეორებას.
 - 2. მაგრამ ჩვენს სინდისში ჩვენ გვჭირდება მყისიერი გამოყენება უფლის ძვირფასი სისხლით მუდმივი გაწმენდისა ისევ და ისევ, როდესაც

ჩვენს ურთიერთობაში ღმერთთან ღვთაებრივი სინათლე ანათებს ჩვენს სინდისს.

3. როდესაც ღმერთი გვპატიობს ჩვენ, ის მაშინვე შლის ჩვენს ცოდვებს თავისი მესხიერებიდან და აღარ ახსოვს ჩვენი ცოდვები; ცოდვების პატიება ნიშნავს, რომ ცოდვა არ გეთვლება თქვენ დანაშაულად ღმერთის წინაშე, რათა ჩვენ თავი დავადწიოთ ღმერთის სამართლიანობის სასჯელს – იოანე 5:24:
 - ა) როდესაც ღმერთი გვპატიობს ჩვენ ჩვენს ცოდვებს, ის აკეთებს ისე, რომ ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვები გვშორდება ჩვენ – ფსალ. 103:12; ლევ. 16:7-10, 15-22.
 - ბ) ღმერთის მიერ ჩვენი ცოდვების პატიებას მიყვავართ ჩვენ იქამდე, რომ ჩვენ გვეშინია ღმერთის და გვიყვარს ღმერთი ჩვენს განახლებულ ურთიერთობაში მასთან – ფსალ. 130:4; ლუკა 7:47.
- ბ. ქრისტეს ძვირფასი სისხლი აკმაყოფილებს ღმერთს, ის არის მორწმუნეების წვდომა ღმერთთან, და ის იმარჯვებს მტრის ყველა მსჯავრდადებაზე (გამ. 12:13; ეფეს. 2:13; 1 პეტ. 1:18-19; ებრ. 10:19-20, 22; 9:14; 1 იოანე 1:7, 9; გამოცხ. 12:10-11); უფლის ძვირფასი სისხლი ასევე არის მარადიული ანდერძის სისხლი (მათე 26:28; ებრ. 13:20), ნაჩვენები სისხლის წინასახეში, რომლის მეშვეობითაც მღვდელმთავარი შედიოდა წმიდათა წმიდაში ლევიანების მე-16 თავში:
 1. ანდერძის სისხლი ნებას გვაძლევს ჩვენ შევიდეთ პრაქტიკულ წმიდათა წმიდაში (ებრ. 10:19-20), ჩვენს სულში (ეფეს. 2:22; 2 ტიმ. 4:22), რათა დავტკბეთ ღმერთით და ავივსოთ მისით.
 2. გამოცხადების თანახმად ახალ აღთქმაში, ჩვენ ვართ მიყვანილი აღთქმის სისხლის მეშვეობით არა მარტო ღმერთის თანდასწრებაში – ჩვენ მიყვანილი ვართ ასევე თვით ღმერთში; გამომსყიდველ და გამწმენდ სისხლს მიყვავართ ჩვენ ღმერთში!
 3. ანდერძის სისხლი განკუთვნილია ძირითადად იმისათვის, რომ ღმერთი იყოს ჩვენი ხვედრი ჩვენი ტკობისათვის – შდრ. ფსალ. 27:4; 73:16-17, 25; 1 კორ. 2:9; ებრ. 10:19-20.
 4. საბოლოოდ ქრისტეს სისხლს, როგორც ახალი ანდერძის სისხლს, (მათე 26:28; ლუკა 22:20) შეყავს ღმერთის ხალხი იმ საუკეთესოსთან, რაც არის ახალ ანდერძში, რომელშიც ღმერთი აძლევს თავის ხალხს ახალ გულს, ახალ სულს, თავის სულს, სიცოცხლის შინაგან კანონს (რაც აღნიშნავს თვით ღმერთს მისი ბუნებით, სიცოცხლით, თვისებებითა და სათნოებებით) და სიცოცხლის შესაძლებლობას, რომ იცნობდეს ღმერთს (იერ. 31:33-34; ეზეკ. 36:26-27; ებრ. 8:10-12).
 5. საბოლოოდ ახალი ანდერძის, მარადიული ანდერძის სისხლი (13:20), ნებას აძლევს ღმერთის ხალხს, რომ ემსახუროს ღმერთს (9:14) და მიიყვანოს ღმერთის ხალხი ღმერთით როგორც მათი ხვედრით (სიცოცხლის ხით და სიცოცხლის წყლით) სრულ ტკობაში დღესაც და მარადიულადაც – (გამოცხ. 7:14, 17; 22:1-2, 14, 17).

III. „მე ჩავდებ ჩემს კანონებს მათ გონებაში, და მათ გულებზე დავწერ მათ“ – ებრ. 8:10; იერ. 31:33ა:

- ა. ცენტრი, ცენტრალურობა, ახალი ანდერძისა არის სიცოცხლის შინაგანი კანონი; ღვთაებრივი სიცოცხლის კანონი, სიცოცხლის სულის კანონი (რომ. 8:2), არის ავტომატური პრინციპი და სპონტანური ძალა ღვთაებრივი სიცოცხლისა.
- ბ. სამერთიანი ღმერთი გამზადდა განკაცების, ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების მეშვეობით და გახდა სიცოცხლის სულის კანონი, დამონტაჟებული ჩვენს სულში როგორც „სამეცნიერო“ კანონი, ავტომატური პრინციპი – მუხ. 2-3, 11, 34, 16.
- გ. ღღეს ღმერთის ურთიერთობა ჩვენთან დაფუძნებულია მთლიანად სიცოცხლის კანონზე; თითოეულ სიცოცხლეს აქვს კანონი და არის კიდევაც კანონი; ღმერთის სიცოცხლე არის უმაღლესი სიცოცხლე, და ამ სიცოცხლის კანონი არის უმაღლესი კანონი – შდრ. 30:19ა; ესაია 40:30-31.
- დ. რომაელთა მიმართ წერილის მე-8 თავი, რომლის თემაც არის სიცოცხლის სულის კანონი (მუხ. 2), შეიძლება ჩავთვალოთ მთელი ბიბლიის ცენტრად და სამყაროს ცენტრად; აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ განვიცდით რომაელთა მიმართ წერილის მე-8 თავს, ჩვენ ვიმყოფებით სამყაროს ცენტრში:
 - 1. ღმერთი იმყოფება ახლა ჩვენში როგორც კანონი, რომელიც მოქმედებს ავტომატურად, სპონტანურად და გაუცნობიერებლად, რათა გაგვანთავისუფლოს ჩვენ ცოდვისა და სიკვდილის კანონისაგან; ეს არის ერთ-ერთი უღდესი აღმოჩენა, უფრო მეტიც, ერთ-ერთი უდიდესი აღდგენილი საკითხი ღმერთის სახლმშენებლობაში – 7:18-23; 8:2.
 - 2. ჩვენ ვტკბებით სიცოცხლის დარიგებით ჩვენს არსებაში ღმერთის სახლმშენებლობის განხორციელებისათვის სიცოცხლის სულის კანონის მუშაობის წყალობით – იერ. 31:33; ებრ. 8:10; რომ. 8:2-3, 10, 6, 11.
 - 3. სიცოცხლის სულის კანონით ტკბობას რომაელთა მიმართ წერილის მე-8 თავში შევყავართ ჩვენ ქრისტეს სხეულის სინამდვილეში რომაელთა მიმართ წერილის მე-12 თავში; ეს კანონი მოქმედებს ჩვენ შიგნით როდესაც ჩვენ ვცხორებთ სხეულში და სხეულისათვის – 8:2, 28-29; 12:1-2, 11; ფილიპ. 1:19.
- ე. თავისი ღვთაებრივი სიცოცხლის ჩანერგვით ჩვენში, ღმერთი ათავსებს ჩვენში უმაღლეს კანონს (მხოლოდობით რიცხვში – იერ. 31:33) ამ უმაღლესი სიცოცხლისას ჩვენს სულში, საიდანაც ის ვრცელდება ჩვენს შინაგან ნაწილებში, რომლებიც არის ჩვენი გონება, გრძნობები და ნება, და ხდება რამდენიმე კანონი (მრავლობით რიცხვში – ებრ. 8:10):
 - 1. ამ კანონის გავრცელება ჩვენში არის ჩანერგვა (რომ. 8:10, 6), ხოლო ჩანერგვა არის დაწერა (2 კორ. 3:3); როდესაც უფალი ვრცელდება, ინერგება და იწერება ჩვენში, ის ამცირებს ჩვენში ადამის ძველ ელემენტს და ამატებს ჩვენში ქრისტეს ახალ ელემენტს,

მეტაბოლურად ახორციელებს ჩვენში სიცოცხლის გარდასახვას – მუხ. 18.

2. სიცოცხლის კანონის მუშაობის, გავრცელების წყალობით ჩვენში, ღმერთი გვხდის ჩვენ ისეთებს, როგორც არის თვითონ, სიცოცხლით, ბუნებითა და გამოხატულებით; ჩვენ ვემსგავსებით ღმერთის პირმშობის სახებას სიცოცხლის კანონის მუშაობის მეშვეობით – რომ. 8:2, 29.
- ვ. იმ დროს, როდესაც ჩვენ ვინარჩუნებთ კავშირს უფალთან, ვრჩებით მასთან შესებაში, სიცოცხლის კანონი, სიცოცხლის სულის კანონი, მუშაობს ავტომატურად, სპონტანურად და ძალისხმევის გარეშე – ფილიპ. 2:12-13; რომ. 8:2, 4, 6, 13-16, 23; 1 თეს. 5:16-18:
 1. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი საკუთარი ბრძოლა და ძალისხმევა – გალ. 2:20ა; შდრ. რომ. 7:15-20:
 - ა) თუ ჩვენ ვერ დავინახეთ, რომ ცოდვა არის კანონი და რომ ჩვენი ნება ვერასოდეს ვერ შეძლებს ამ კანონზე გამარჯვებას, ჩვენ ვიმყოფებით რომაელთა მიმართ წერილის მე-7 თავის ხაფანგში; ჩვენ ვერასოდეს ვერ მივალთ რომაელთა მიმართ წერილის მე-8 თავთან.
 - ბ) პავლე ისევ და ისევ გამოხატავდა სურვილს, მაგრამ ამის შედეგი იყო მხოლოდ წარუმატებლობა; ადამიანს საუკეთესო შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ გადაწყვეტილების მიღება – 7:18.
 - გ) როდესაც ცოდვა მიძინებულია ჩვენ შიგნით; ეს არის უბრალოდ ცოდვა, მაგრამ როდესაც ის იღვიძებს ჩვენში ჩვენი სურვილის გამო, რომ გავაკეთოთ სიკეთე, ის ხდება „ბოროტება“ – მუხ. 21.
 - დ) ნაცვლად იმისა, რომ გამოვხატოთ სურვილი, ჩვენ უნდა მივმართოთ ჩვენი გონება სულისაკენ და ვიაროთ სულის თანახმად – 8:6, 4; ფილიპ. 2:13.
 2. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენში მყოფ, ჩვენში ჩანერგილ, ავტომატურ და ჩვენში მოქმედ ღმერთთან როგორც სიცოცხლის სულის კანონთან, ვილოცოთ და გვქონდეს დამოკიდებული სული, მოვუხმოთ უფალს და ღოცვით წავიკითხოთ მისი სიტყვა ჩვენი ურთიერთობის შენარჩუნებისათვის მასთან – რომ. 10:12-13; 1 თეს. 5:17; ეფეს. 6:17-18:
 - ა) ქრისტეს, როგორც სიცოცხლის კანონის, განცდის საიდუმლო არის ის, რომ ვიყოთ მასში – მასში, ვინც გვაძლევს ჩვენ ძალას, რომ გავაკეთოთ ყველაფერი, ხოლო იმის საიდუმლო, რომ ვიყოთ მასში, არის ის, რომ ვიყოთ ჩვენს სულში – ფილიპ. 4:13, 23.
 - ბ) იმისათვის, რომ ვიცხოვროთ ჩვენს სულში, ჩვენ უნდა შევეყოვნდეთ უფლის წინაშე იმ მიზნით, რომ ვუცქიროთ უფალს, ვილოცოთ იესოს წინაშე ურთიერთობაში, რათა ჩავიდიროთ მის მზერაში, გავიჟღინოთ მისი სილამაზით და გამოვასხივოთ მისი აღმატებულება – 2 კორ. 3:16, 18; შდრ. მათე 14:23.

- ზ. სიცოცხლის კანონის ფუნქცია მოითხოვს სიცოცხლეში ზრდას, რადგან სიცოცხლის კანონი ფუნქციონირებს მხოლოდ სიცოცხლის ზრდასთან ერთად – მარკ. 4:3, 14, 26-29:
1. ქრისტეს შუამდგომლობა ტახტზე წარმოადგენს აღმძვრელ ძალას სიცოცხლის თესლისათვის, რომელიც დარგულია მის მიერ ჩვენში აღდგომისას – ებრ. 7:25; რომ. 8:34.
 2. პირმშო ძე შუამდგომლობს ჩვენთვის, რათა აღძრას სიცოცხლე, რომელიც მან დათესა ჩვენს სულში, რომ გაიზარდოს, განვითარდეს და გაჟღინთოს ჩვენი ყველა შინაგანი ნაწილი, სანამ ჩვენ არ ვიქნებით მთლიანად გამსჭვალული მისი განდიდებული და ამადლებული არსებით.
 3. იმ დროს, როდესაც ღვთაებრივი სიცოცხლე იზრდება ჩვენში, სიცოცხლის კანონი ფუნქციონირებს, გვაძლევს ჩვენ ფორმას, გვამსგავსებს ჩვენ ქრისტეს როგორც ღმერთის პირმშოს სახებას, რათა ჩვენ გავხდეთ მისი ერთობლივი გამოხატულება; სიცოცხლის კანონი გვმართავს ჩვენ არა იმისათვის, რომ დაგვიფაროს ჩვენ არასწორი ქმედებებისაგან; ის გვმართავს სიცოცხლის ფორმით – მუხ. 2, 29:
 - ა) ჩვენში დამკვიდრებული საცდელი ნიმუში, ღმერთის პირმშო ძე, ავტომატურად მუშაობს ჩვენში როგორც სიცოცხლის კანონი, რათა დაგვამსგავსოს ჩვენ თავის სახებასთან, „გაგვხადოს ძე“ ჩვენ; უფალი სასოწარკვეთით მუშაობს, რათა გახადოს თითოეული ჩვენგანი ისეთივე, როგორც არის პირმშო ძე.
 - ბ) ღმერთი ახორციელებს ამ საცდელი ნიმუშის სერიულ ხელახლაწარმოქმნას თავისი ცოცხალი საცდელი ნიმუშის, პირმშო ძის, ჩანერგვის გზით მთელ ჩვენს არსებაში; თუ ჩვენ ვითანამშრომლებთ და გავეხსნებით ამ საოცარ საცდელ ნიმუშს, ის გაგრძელდება გარეთ ჩვენ სულიდან ჩვენს სამშვინველში.
 - გ) პირმშო ძე არის საცდელი ნიმუში, სტანდარტული მოდელი, ღმერთის იმ მრავალი ძის სერიული ხელახლა წარმოქმნისათვის, რომლებიც არიან მისი მრავალი ძმა, და შეადგენენ მის სხეულს, როგორც ახალ კაცს, სტანდარტული მოდელის, ღმერთის პირმშო ძის ერთობლივი ხელახლა წარმოქმნისათვის და გამოხატვისათვის – მუხ. 29.
 4. სიცოცხლის კანონი ფუნქციონირებს ძირითადად არა უარყოფითი მხრივ, ის არ გვეუბნება ჩვენ რა არ უნდა გავკეთოთ; პირიქით, იმ დროს როდესაც სიცოცხლე იზრდება, სიცოცხლის კანონი ფუნქციონირებს დადებითი მხრივ, გვაძლევს ჩვენ ფორმას, ანუ გვამსგავსებს ჩვენ ქრისტეს სახებასთან; სიცოცხლის კანონის ფუნქციის თანახმად ჩვენ ყველანი გავხდებით ღმერთის მოწიფული ძეები და ღმერთი მიიღებს თავის სამყაროსეულ, ერთობლივ გამოხატულებას.

IV. „მე ვიქნები მათი ღმერთი, და ისინი იქნებიან ჩემი ხალხი“ – ებრ. 8:10; იერ. 31:33ბ:

- ა. ის, რომ ღმერთი არის ჩვენი ღმერთი, ნიშნავს, რომ ის არის ჩვენი მემკვიდრეობა – ეფეს. 1:14:
 - 1. ღმერთმა შექმნა ადამიანი როგორც ჭურჭელი, რათა ადამიანი შეიცავდეს მას (დაბ. 1:26-27; რომ. 9:23-24); აქედან გამომდინარე, ღმერთი არის ადამიანის საკუთრება, ზუსტად ისევე როგორც ჭურჭლის შიგთავსი არის ჭურჭლის საკუთრება.
 - 2. ღმერთი არის არა მარტო ჩვენი მემკვიდრეობა, ის არის ასევე ჩვენი ხვედრი (ფსალ. 16:5) ჩვენი ტკობისათვის; ვიყოთ გადარჩენილი ნიშნავს დავუბრუნდეთ ღმერთს და ახლებურად დავტკებთ მისით როგორც ჩვენი საკუთრებით, რაზეც მიუთითებს ადამიანის დაბრუნება თავის საკუთრებასთან იუბილეს დროს (ლევ. 25:10; ლუკა 4:18-19; 15:17-24; საქმე. 26:18; კოლ. 1:12).
 - 3. ღმერთი გვაძლევს ჩვენ სულს არა მარტო როგორც ჩვენი მემკვიდრეობის გარანტიას, არამედ ასევე როგორც იმის წინასწარგემებას, რასაც ჩვენ დავიმკვიდრებთ ღმერთისაგან (2 კორ. 1:22); სულის მიერ მოცემული საწინდარი ნელ ნელა ამატებს ჩვენში მეტ ღმერთს, სანამ ჩვენ არ შევალთ მარადისობაში და არ მოვიპოვებთ ღმერთს როგორც ჩვენს სრულ ტკობას.
- ბ. ის, რომ ჩვენ ვართ ღმერთის ხალხი, ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ ღმერთის მემკვიდრეობა – ეფეს. 1:11, 14, 18; 3:21:
 - 1. ჩვენ არა მარტო ვიმკვიდრებთ ღმერთს როგორც ჩვენს მემკვიდრეობას (1:14) ჩვენი ტკობისათვის, ჩვენ ასევე ვხდებით ღმერთის მემკვიდრეობა (მუხ. 11) ღმერთის ტკობისათვის.
 - 2. ჩვენ ვხდებით შემადგენლობით ღმერთის მემკვიდრეობა სწორედ იმის წყალობით, რომ ჩვენში ინერგება ღმერთი; ეს არის გარდასახვა, და ასევე სუბიექტური გაწმიდანება.
 - 3. ღმერთმა ჩადო ჩვენში თავისი წმიდა სული როგორც ბეჭედი (მუხ. 13), რომელიც ნიშანს გვაძლევს ჩვენ და გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვეკუთვნით ღმერთს; ეს ბეჭედი არის ცოცხალი, და ის მუშაობს ჩვენ შიგნით, რათა გაგვეღინთოს და გარდაგვსახოს ჩვენ ღმერთის ღვთაებრივი ელემენტით, სანამ არ იქნება გამოსყიდული ჩვენი სხეული.
 - 4. საბოლოოდ ურთიერთ მემკვიდრეობა ღმერთისა და ადამიანისა მარადიულად ხდება ღმერთის მემკვიდრეობა წმიდანებში (მუხ. 18); ეს იქნება მისი მარადიული გამოხატულება მთელ სისავსეში სამყაროსეული მასშტაბით და მარადიულად (გამოცხ. 21:11).

V. „ისინი არავითარ შემთხვევაში არ ასწავლიან თითოეული თავის თანამოქალაქს და თითოეული თავის ძმას „შეიცანი უფალი“, რადგან ყველა გამიცნობს მე, პატარიდან დიდამდე მათ შორის“ – ებრ. 8:11; იერ. 31:34ა:

- ა. სიცოცხლის ფუნქცია შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენ ვიცოდეთ ღმერთი სიცოცხლის შინაგანი გზით; ჩვენ შეგვიძლია ვიცნობდეთ ღმერთს

სუბიექტურად შინაგანად სიცოცხლის გრძნობის თანახმად – ჩვენ შიგნით მყოფი ღვთაებრივი სიცოცხლის შეგრძნების, შეცნობის მეშვეობით – რომ. 8:6; ეფეს. 4:18-19; ფილიპ. 3:10ა:

1. სიცოცხლის გრძნობა გამოდის ღვთაებრივი სიცოცხლიდან (ეფეს. 4:18), სიცოცხლის კანონიდან (რომ. 8:2; ებრ. 8:10) და სულის ცხებულებიდან (1 იოანე 2:27).
 2. უარყოფითი მხრივ, სიცოცხლის გრძნობა არის სიკვდილის შეგრძნება, ხოლო დადებითი მხრივ, ეს არის სიცოცხლისა და მშვიდობის შეგრძნება – რომ. 8:6; ესაია 26:3.
 3. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სიცოცხლის გრძნობის თანახმად სიცოცხლის პრინციპით, და არა სწორისა და არასწორის პრინციპის, სიკვდილის პრინციპის, თანახმად.
 4. აი რას ნიშნავს, ვიცხოვროთ სიცოცხლის ხის თანახმად, და არა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის პრინციპის თანახმად – დაბ. 2:9.
 5. სიცოცხლის გრძნობა საშუალებას გვაძლევს ჩვენ ვიცოდეთ, სად ვცხოვრობთ ჩვენ: ბუნებრივ სიცოცხლეში თუ ღვთაებრივ სიცოცხლეში, ხორცში თუ სულში.
- ბ. „იმისათვის, რომ ემსახუროს ღმერთს და იმუშავოს მისთვის, ქრისტიანმა უნდა ისწავლოს, რომ გაექცეს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს... მხოლოდ ის, ვინც ეხება სიცოცხლის ხეს, იქნება იმის მოწმე, რომ მათი სიცოცხლე და სამუშაო დარჩება ახალ იერუსალიმში (*შეტყობინებები, გაკეთებული ვოჩმან ნის მსახურების განახლების დროს“, ტ. 1).

VI. საბოლოოდ ჩვენი ტკობა ჩვენში მყოფი სულით როგორც ღვთაებრივი სიცოცხლის ავტომატური კანონით, სიცოცხლის სულის კანონით, არის ქრისტეს სხეულში და განკუთვნილია ქრისტეს სხეულისათვის იმ მიზნით, რომ გაგვხადოს ჩვენ ღმერთი სიცოცხლით, ბუნებითა და გამოხატულებით, მაგრამ არა ღვთაებაში, რათა მიაღწიოს მისი მარადიული სახლმშენებლობის – ახალი იერუსალიმის – მიზანს – რომ. 8:2, 28-29; 12:1-2; 11:36; 16:27; ფილიპ. 1:19; შდრ. გალ. 4:26-28, 31.